

შპს „ზიმო“
ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	9
1 ზოგადი ინფორმაცია.....	10
2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	10
3 ძირითადი საშუალებები	17
4 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები.....	18
5 ფული და ფულის ექვივალენტები	18
6 მიღებული სესხები	18
7 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	18
8 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	19
9 ფინანსური რისკების მართვა	19
10 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	21
11 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	21

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ზიმო“-ს ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს ზიმოს (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის “პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად არ დაგვნიშნეს 2022 წლის 31 დეკემბრამდე და, შესაბამისად, ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციას. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2022 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ძირითადი საშუალებების სისწორეში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 7,122,692 (2021: 8,297,337) ლარის ღირებულებით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

კომპანია არ აწარმოებს საეჭვო ვალების ანარიცხების დათვლისას და შესაბამისად არ აქვს გათვალისწინებული ფასს 9 სტანდარტის გაუფასურების მითითებები, რის მიხედვითაც, გაუფასურების ზარალის რეზერვები უნდა ეფუძნებოდეს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღრიცხვის მოდელს და არა დამდგარი ზარალის აღრიცხვის მოდელს. კომპანიის საბუღალტრო ჩანაწერების ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით შეგვეფასებინა ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის ოდენობა. შესაბამისად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირება ფინანსური აქტივების ნაშთებსა და მათ შესაძლო დანაკარგის რეზერვის ხარჯთან მიმართებაში მიმდინარე და შესადარისი პერიოდებისთვის.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობით ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი

ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით საგათვალისწინებელი სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა გარემოებათა ამსახველი აზრები

2021 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც 2023 წლის 23 მაისს უარი განაცხადა ამ ანგარიშგების შესახებ მოსაზრების გამოთქმაზე.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვედრაშია 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

შპს ეი ეი ჯგუფი ს/კ 402295271

SARAS-F-965330

სერგო ნონიაშვილი _____

გარიგების პარტნიორი - SARAS-A-398248


აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

შპს ეი ეი ჯგუფი ს/კ 402295271

SARAS-F-965330

სერგო ნონიაშვილი



გარიგების პარტნიორი - SARAS-A-398248

შპს „ზიმო“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	12/31/2022	12/31/2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	7,122,692	8,297,337
საინვესტიციო ქონება		291,173	291,173
სულ გრძელვადიანი აქტივები		7,413,865	8,588,510
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		1,478,325	1,433,491
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4	42,313,841	37,517,578
სხვა აქტივები		12,803,046	1,637,119
ინვესტიციები		1,615,480	8,036,681
გაცემული მოკლევადიანი სესხები		329,316	266,273
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	125,443	171,240
საგადასახადო აქტივები		824,215	957,533
სულ მოკლევადიანი აქტივები		59,489,666	50,019,915
სულ აქტივები		66,903,531	58,608,425
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		4,000	4,000
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		26,958,005	29,992,640
სულ კაპიტალი	10	26,962,005	29,996,640
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	6	4,984,874	4,717,144
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,984,874	4,717,144
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		33,191,394	21,500,355
მოკლევადიანი სესხები	6	1,765,258	1,665,060
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	-	-	729,226
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		34,956,652	23,894,641
მთლიანი ვალდებულებები		39,941,526	28,611,785
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		66,903,531	58,608,425

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 6-21 გვერდის ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2024 წლის 15 თებერვალს.

დირექტორი
ზურაბ კიკნაძე

მთავარი ბუღალტერი
თემურ ლოლიჯაშვილი

შპს „ზიმო“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	12/31/2022	12/31/2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	7,122,692	8,297,337
საინვესტიციო ქონება		291,173	291,173
სულ გრძელვადიანი აქტივები		7,413,865	8,588,510
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		1,478,325	1,433,491
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4	42,313,841	37,517,578
სხვა აქტივები		12,803,046	1,637,119
ინვესტიციები		1,615,480	8,036,681
გაცემული მოკლევადიანი სესხები		329,316	266,273
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	125,443	171,240
საგადასახადო აქტივები		824,215	957,533
სულ მოკლევადიანი აქტივები		59,489,666	50,019,915
სულ აქტივები		66,903,531	58,608,425
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		4,000	4,000
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		26,958,005	29,992,640
სულ კაპიტალი	10	26,962,005	29,996,640
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	6	4,984,874	4,717,144
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,984,874	4,717,144
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		33,191,394	21,500,355
მოკლევადიანი სესხები	6	1,765,258	1,665,060
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	-	-	729,226
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		34,956,652	23,894,641
მთლიანი ვალდებულებები		39,941,526	28,611,785
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		66,903,531	58,608,425

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 6-21 გვერდის ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2024 წლის 15 თებერვალს.

დირექტორი
ზურაბ კიკნაძე

მთავარი ბუღალტერი
თემურ ლოლიჯაშვილი

შპს „ზიმო“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი		10,629,315	10,417,480
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7	(8,250,296)	(10,540,328)
საერთო მოგება		2,379,019	(122,848)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1,937,468)	(2,582,455)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა	-	(2,877,321)	(1,840,668)
სულ საოპერაციო ხარჯები		(4,814,789)	(4,423,123)
საოპერაციო მოგება		(2,435,770)	(4,545,971)
ფინანსური შემოსავალი/ხარჯი, წმინდა		(598,865)	(185,667)
წმინდა ფინანსური მოგება/მოგება დაბეგვრამდე		(3,034,635)	(4,731,638)
მოგების გადასახადი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		(3,034,635)	(4,731,638)

შპს „ზიმო“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2022	2021
მოგება დაბეგვრამდე	(3,034,635)	(4,731,638)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	1,185,661	1,781,179
მოგება/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	-	(1,768,078)
წმინდა მოგება/ზარალი სავალუტო კურსიდან	(106,756)	789,887
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე	(1,955,730)	(3,928,650)
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(4,796,263)	(1,495,524)
ცვლილება სხვა აქტივებში	(5,419,820)	552,955
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	11,691,039	3,890,350
ცვლილება საგადასახადო აქტივებში	133,318	(1,349,379)
ცვლილება საიჯარო ვალდებულებებში	(729,226)	(368,386)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(1,076,682)	(2,698,634)
საინვესტიციო საქმიანობა		
ძირითადი საშუალების შემოსვლა	(11,016)	(259,633)
ძირითადი საშუალების გასვლა	-	5,006,692
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფული	(11,016)	4,747,059
ფინანსური საქმიანობა		
სესხის აღება	2,680,323	1,000,000
სესხის დაფარვა	(1,638,422)	(3,261,814)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფული	1,041,901	(2,261,814)
ფულისა და ფულის ეკვივალენტების ზრდა (შემცირება)	(45,797)	(213,389)
წლის დასაწყისში	171,240	369,537
უცხოური ვალუტის ცვლილება ფული და ფულის ეკვივალენტებში	-	15,092
წლის ბოლოს	125,443	171,240

შპს „ზიმო“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	4,000	34,724,278	34,728,278
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	(4,731,638)	(4,731,638)
გადახდილი დივიდენდები	-	-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	4,000	29,992,640	29,996,640
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	(3,034,635)	(3,034,635)
გადახდილი დივიდენდები	-	-	-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	4,000	26,958,005	26,962,005

შპს „ზიმო“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „ზიმო“ ს/კ 211338015 დაფუძნებულია 1997 წელს. კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი ყაზბეგის გამზ. #19ა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა გზების და ავტობანების, ხიდების და გვირაბების, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა, სატრანსპორტო მომსახურება.

კომპანიის დირექტორი არის ზურაბ კიკნაძე.

2022 წლის ანგარიშგების დამტკიცების მდგომარეობით კომპანიის მეწილეები არიან:

20% - ზურაბ კიკნაძე

20% - ილია ქავთარაძე

20% - ლევან მარშანია

20% - ციური უროტაძე

20% - ალექსანდრე მაღრაძე

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან“.

2022 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

შპს „ზიმო“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7	2.9
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.1	3.5

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში და უცხოურ ვალუტაში.

ფინანსური აქტივები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამოწვევისაა სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა.

სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად. იმისათვის, რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს კომპანია ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოდინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც კომპანია ვალდებულია იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

შპს „ზიმო“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია კომპანიისთვის. კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირითად თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს. სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების კომპანიის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში. ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს.

შპს „ზიმო“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის მაჩვენებლები არის შემდეგი:

	წელი
შენობები	20
ნაგებობები	10
ძალოვანი მანქანები და სამშენებლო მოწყობილობა	10-20
კომპიუტერული ტექნიკა	3-4
იჯარით აღებული ტექნიკა	10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	7-8
მსუბუქი ავტომობილები	10

შპს „ზიმო“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი, (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ყოველწლიურად. საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება შესაბამისად.

იჯარა

განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, იჯარის დასაწყისში ხდება, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებადი აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

კომპანია, როგორც მოიჯარე იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის კომპანია აღიარებს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას.

აქტივის გამოყენების უფლება

კომპანია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების შეფასების თანხით. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- ა) საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას;
- ბ) საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- გ) მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს.

კომპანია აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად მანქანა-დანადგარებს 10 წელზე ხოლო სატრანსპორტო საშუალებას 5 წელზე.

საიჯარო ვალდებულება

კომპანია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო განაკვეთი. საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის არსებულ ფიქსირებულ გადახდებს) მიღებული საიჯარო წამახალისებელი გადახდების გამოკლებით; ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით; თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ კომპანია გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით; შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ კომპანია გამოიყენებს ამ უფლებას და

შპს „ზიმო“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს კომპანიას მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას. იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანია საიჯარო ვალდებულებას ზრდის საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით და ამცირებს განხორციელებული საიჯარო გადახდებით. ამასთანავე, კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, თუ ადგილი აქვს საიჯარო ხელშეკრულების პირობების ცვლილებებს.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული აქტივის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანახარჯები. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა FIFO მეთოდს და მოიცავს შემენის ხარჯებს, ტრანსპორტირების ხარჯებს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარებაც ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა; კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი

შპს „ზიმო“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

მმართველობითი უფლება ან კონტროლი; ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანიის სხვა ფინანსურ შემოსავალს წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალი საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან. კომპანია შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ფასდება იმ ვარაუდების გამოყენებით, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას, იმ ვარაუდით, რომ ბაზრის მონაწილეები იმოქმედებენ საუკეთესო ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე. კომპანია იყენებს შეფასების მეთოდებს, რომელიც შესაფერისია აღნიშნულ გარემოებებში და რომელთან დაკავშირებითაც არსებობს სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის საჭირო მონაცემები. ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

დონე 1 - იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით;

დონე 2 - შეფასების მეთოდით, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის პირდაპირი და არაპირდაპირი განსაზღვრა;

დონე 3 - შეფასების მეთოდით, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის განსაზღვრა.

შპს „ზიმო“

ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

3 ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	ძალოვანი მანქანები და სამშენებლო მოწყობილობა	კომპიუტერული ტექნიკა	ავიჯი	მსუბუქი ავტომობ ილები	ფინანსური იჯარით აღებული ძირითადი საშუალებები	სულ
თვითღირებულება								
12/31/2020	1,543,517	609,044	13,855,487	24,512	164,013	380,208	1,880,943	18,457,724
შემოსვლა	15,745	16,271	175,540	31,874	20,203	-	-	259,633
გასვლა	-	-	(6,571,660)	-	-	-	-	(6,571,660)
12/31/2021	1,559,262	625,315	7,459,367	56,386	184,216	380,208	1,880,943	12,145,697
შემოსვლა	-	-	6,864	4,152	-	-	-	11,016
რეკლასიფიკაცია	-	-	1,771,286	-	-	109,657	(1,880,943)	-
12/31/2022	1,559,262	625,315	9,237,517	60,538	184,216	489,865	-	12,156,713
დაგროვილი ცვეთა								
12/31/2020	-	331,769	2,663,782	14,233	45,774	224,038	352,553	3,632,149
ცვეთის ხარჯი	-	45,435	1,401,834	12,410	26,053	33,671	261,776	1,781,179
გასვლა	-	-	(1,564,968)	-	-	-	-	(1,564,968)
12/31/2021	-	377,204	2,500,648	26,643	71,827	257,709	614,329	3,848,360
ცვეთის ხარჯი	-	46,242	802,159	15,419	27,631	32,430	261,780	1,185,661
რეკლასიფიკაცია	-	-	824,069	-	-	52,040	(876,109)	-
12/31/2022	-	423,446	4,126,876	42,062	99,458	342,179	-	5,034,021
წმინდა საბალანსო ღირებულება								
12/31/2021	1,559,262	248,111	4,958,719	29,743	112,389	122,499	1,266,614	8,297,337
12/31/2022	1,559,262	201,869	5,110,641	18,476	84,758	147,686	-	7,122,692

*კომპანიის მფლობელობაში არსებული მანქანა დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები წარმოადგენს უზრუნველყოფის საგანს საფინანსო ინსტიტუტებისაგან აღებული ვალდებულებების დაფარვის შესასრულებლად.

შპს „ზიმო“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

4 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	12/31/2022	12/31/2021
სავაჭრო მოთხოვნები	5,527,212	1,132,894
გადახდილი ავანსები	36,786,629	36,384,684
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	42,313,841	37,517,578

5 ფული და ფულის ექვივალენტები

	12/31/2022	12/31/2021
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	5,322	133,667
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	456	24,325
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	117,080	12,175
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2,585	1,073
სულ	125,443	171,240

6 მიღებული სესხები

			12/31/2022	12/31/2021		
კრედიტის გამცემი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	მოკლევადიანი ნაწილი	გრძელვადიანი ნაწილი	მოკლევადიანი ნაწილი	გრძელვადიანი ნაწილი
საბანკო სესხები	11.25 %	ლარი	1,290,258	4,984,874	1,665,060	4,717,144
არასაბანკო სესხები	14.10%	ლარი	475,000	-	-	-
სულ, მათ შორის			1,765,258	4,984,874	1,665,060	4,717,144

საბანკო დაწესებულებებისგან აღებული სესხები უზრუნველყოფილია შპს „ზიმოს“ ძირითადი საშუალებებით.

7 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2022	2021
ძირითადი მასალების დანახარჯები/შემძენა	2,787,693	4,199,504
პირდაპირი ხელფასები	923,707	2,471,224
ცვეთა და ამორტიზაცია	1,098,294	1,742,716
საწვავის ხარჯი	961,281	555,746
ქვეკონტრაქტორის ხარჯი	1,907,529	480,266
დაცვის ხარჯი	14,237	470,967
ტრანსპორტირების ხარჯი	37,533	45,548
სხვა ხარჯები	520,022	574,357
სულ	8,250,296	10,540,328

შპს „ზიმო“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

8 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
შრომის ანაზღაურება	1,690,081	1,802,849
რემონტის ხარჯები	64,342	197,732
საკონსულტაციო ხარჯები	24,000	117,552
საგადასახადო ხარჯი	3,326	57,772
საწვავის ხარჯი	-	99,394
ცვეთა და ამორტიზაცია	87,367	38,463
სხვა ხარჯები	68,352	268,693
სულ	1,937,468	2,582,455

9 ფინანსური რისკების მართვა

საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით შეიძლება იდგეს სხვადასხვა რისკების წინაშე. რისკის უმთავრესი სახეებია: საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი. კომპანიის მიერ გამოყენებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები არის შემდეგი:

	12/31/2022	12/31/2021
აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	42,313,841	37,517,578
გაცემული მოკლევადიანი სესხები	329,316	266,273
ფული და ფულის ეკვივალენტები	125,443	171,240
სულ ფინანსური აქტივები	42,768,600	37,955,091
ვალდებულებები		
მიღებული სესხები	6,750,132	6,382,204
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	33,191,394	21,500,355
საიჯარო ვალდებულებები	-	729,226
სულ ფინანსური ვალდებულებები	39,941,526	28,611,785
წმინდა ბალანსი	2,827,074	9,343,306

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ცვლილებები.

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან. კომპანია განიცდის საბაზრო რისკის მიმართ მგრძნობიარობას.

შპს „ზიმო“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების ანგარიშგების ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას. ხელმძღვანელობა ადგენს ფულის ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები, რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენ საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. კომპანიას აქვს საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაფარად. ვადიანობის ანალიზი 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრისთვის მოცემულია ქვემოთ:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ლიკვიდურობის ბალანსი.

	1 წელზე ნაკლები	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	125,443	-	-	125,443
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	42,313,841	-	-	42,313,841
გაცემული მოკლევადიანი სესხები	329,316	-	-	329,316
აქტივები	33,191,394	-	-	42,768,600
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	21,500,355	-	-	21,500,355
მიღებული სესხები	1,665,060	4,984,874	-	6,649,934
საიჯარო ვალდებულებები	729,226	-	-	729,226
ვალდებულებები	23,894,641	4,984,874	-	28,879,515
წმინდა ბალანსი	9,296,753	(4,984,874)	-	13,889,085

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ლიკვიდურობის ბალანსი.

	1 წელზე ნაკლები	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	171,240	-	-	171,240
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	37,517,578	-	-	37,517,578
გაცემული მოკლევადიანი სესხები	266,273	-	-	266,273
აქტივები	37,955,091	-	-	37,955,091
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	21,500,355	-	-	21,500,355
მიღებული სესხები	1,665,060	4,717,144	-	6,382,204

შპს „ზიმო“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

საიჯარო ვალდებულებები	729,226	-	-	729,226
ვალდებულებები	23,894,641	4,717,144	-	28,611,785
წმინდა ბალანსი	14,060,450	(4,717,144)	-	9,343,306

10 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

	12/31/2022	12/31/2021
მიღებული სესხები	475,000	-
	12/31/2022	12/31/2021
გაცემული სესხები	329,316	266,273
	12/31/2022	12/31/2021
ხელფასი	541,920	526,361

11 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, რასაც შესაძლოა გავლენა ჰქონოდა ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს ზიმო (ს/კ 211338015)

მმართველობის ანგარიშგება

31 დეკემბერი 2022

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს ზიმო (შემდგომში - „კომპანია“) მმართველობის ანგარიშგებასთან მიმართებაში კომპანიის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

მმართველობის ანგარიშგება, მომზადებული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2024 წლის 15 თებერვალს.

ზურაბ კიკნაძე

დირექტორი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს ზიმო (შემდგომში - „კომპანია“) მმართველობის ანგარიშგებასთან მიმართებაში კომპანიის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

მმართველობის ანგარიშგება, მომზადებული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2024 წლის 15 თებერვალს.



ზურაბ კიკნაძე
დირექტორი

კომპანიის განვითარების გეგმები

შპს „ზიმო“ ს/კ 211338015 დაფუძნებულია 1997 წელს. კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი ყაზბეგის გამზ #19ა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა გზების და ავტობანების, ხიდების და გვირაბების, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა, სატრანსპორტო მომსახურება.

კომპანიის დირექტორი არის ზურაბ კიკნაძე.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლები არიან:

20% - ზურაბ კიკნაძე

20% - ილია ქავთარაძე

20% - ლევან მარშანია

20% - ციური უროტაძე

20% - ალექსანდრე მაღრაძე



ინფორმაციას კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანიას არ გააჩნია ფილიალები. კომპანია ოპერირებს ერთი ადმინისტრაციული ოფისით, რომელიც მდებარეობს საგურამოში.

ორგანიზაციული სტრუქტურა

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ორგანიზაციულ სტრუქტურას აქვს შემდეგი სახე:

ორგანიზაციული სტრუქტურა



საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

- ხიდებისა და გვირაბების მშენებლობა
- გზებისა და ავტომაგისტრალების მშენებლობა
- საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების მშენებლობა
- სატრანსპორტო მომსახურება

- სამშენებლო მასალის რეალიზაცია

განვითარების გეგმები

კომპანია ითვალისწინებს სამშენებლო ბაზარს, როგორც ქვეყნის ეკონომიკის ზრდისთვის მნიშვნელოვან აქტორს, და ამ მიმართულებით, მენეჯმენტი ყოველწლიურად ანახლებს და აუმჯობესებს სამშენებლო ტექნიკასა და შესაბამისად ხარისხს, მისი მომავალი განვითარებისა და შემოსავლის ზრდის მიზნით. გეგმის შესრულების შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზრდება კომპანიის არა მარტო შემოსავალი, არამედ მოგებაც, რაც კიდევ უფრო მეტ სტაბილურობას შესძენს საზოგადოების ფუნქციონირებას. საზოგადოება ორიენტირებულია მსხვილ გრძელვადიან ინფრასტრუქტურულ პროექტებზე რაც რაც უზრუნველყოფს მის მდგრად განვითარებას. კომპანია ორიენტირებულია შემოსავლების დივერსიფიკაციაზე, ინფრასტრუქტურის მშენებლობა, საცხოვრებელი და საოფისე ფართების მშენებლობა რეალიზაცია, სატრანსპორტო გადაზიდვები.

რისკების მართვა

კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ დგას საკრედიტო რისკის წინაშე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ხელმძღვანელობის პოზიციით, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ცვლილებები. საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების

მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი ეხება მხოლოდ ფულად აქტივებს და ვალდებულებებს. არაფულად აქტივებში ინვესტიციები არ გამოიწვევს მნიშვნელოვან სავალუტო რისკს. გარდა კომპანიის მოგება-ზარალზე არსებული გავლენისა, არ არსებობს სხვა ზეგავლენა კომპანიის კაპიტალზე გაცვლითი კურსის ცვლილებების შედეგად. რისკი გაანგარიშებულია კომპანიის საოპერაციო ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში დენომინირებულ ფულად ბალანსებთან დაკავშირებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით). ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად.

საოპერაციო რისკი

კომპანიას გააჩნია საოპერაციო რისკები, რომელიც შესაძლოა განპირობებული იყოს როგორც შიდა ისე გარე ფაქტორებით. ეს შეიძლება გამოხატული იყოს საკანონმდებლო თუ სხვა სახის შეზღუდვებით.

გარემოს დაცვა

კომპანიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გარემოს დაცვის საკითხების მოწესრიგებას.

15 თებერვალი 2024

ზურაბ კიკნაძე _____

დირექტორი

მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი ეხება მხოლოდ ფულად აქტივებს და ვალდებულებებს. არაფულად აქტივებში ინვესტიციები არ გამოიწვევს მნიშვნელოვან სავალუტო რისკს. გარდა კომპანიის მოგება-ზარალზე არსებული გავლენისა, არ არსებობს სხვა ზეგავლენა კომპანიის კაპიტალზე გაცვლითი კურსის ცვლილებების შედეგად. რისკი გაანგარიშებულია კომპანიის საოპერაციო ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში დენომინირებულ ფულად ბალანსებთან დაკავშირებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით). ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად.

საოპერაციო რისკი

კომპანიას გააჩნია საოპერაციო რისკები, რომელიც შესაძლოა განპირობებული იყოს როგორც შიდა ისე გარე ფაქტორებით. ეს შეიძლება გამოხატული იყოს საკანონმდებლო თუ სხვა სახის შეზღუდვებით.

გარემოს დაცვა

კომპანიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გარემოს დაცვის საკითხების მოწესრიგებას.

15 თებერვალი 2024

ზურაბ კიკნაძე

დირექტორი